

ნიცმეანური ნაკადი გერმანულენოვან მოდერნისტულ ლიტერატურაში

(შტეფან გეორგეს პოეზიის მიხედვით)

გამოჩენილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა ფრიდრიხ ნიცმემ (1844-1900) სამყაროსა და ადამიანის ანთროპოლოგიური არსის ახლებური გააზრებით დიდი გადატრიალება მოახდინა დასავლეთ ევროპულ კულტურასა და აზროვნებაში. ნიცმეს *სიცოცხლის ფილოსოფია* უკუაგდებს ღმერთის ეგზისტენციასა და ადამიანის სულის უკვდავებას:

ხოლო საიქიო სრულიად დაფარულია ადამიანისაგან, იგი უკაცო, უადამიანო ქვეყანაა, ზეციური არარაობაა. ეს “საბრალო ადამიანები” კი, “საპყარნი არიან, რომელთაც მათმა მხსნელმა ხუნდები დაადო ცრუ ღირებულებათა [ნიცმე 1993: 71].

ნიცმესთვის მისაღებია მეტაფიზიკური რეალობა, მხოლოდ როგორც ბუნების და კაცობრიობის სასიცოცხლო ძალთა იერარქია (ე. წ. ძალაუფლების ნება), იგი ფილოსოფიის სახელით ომს უცხადებს პოზიტივისტურ მეცნიერებებს, რომლებიც მოვლენათა მხოლოდ გარეგან მხარეს აქცევენ ყურადღებას და ცხოვრების, ამ შემთხვევაში სასიცოცხლო ძალების კანონებით შებოჭვას ლამობს.

ნიცმე ახორციელებს მე-19 საუკუნის ანტირელიგიურ ტენდენციას და აფუძნებს უსაზრისო, უმიზნო სამყაროს ღმერთის გარეშე: “ცხოვრება არარაობაა, ხოლო ჩვენი შემეცნება კი ბიოლოგიური ფანტასმაგორია და ფალსიფიკაცია” [ნიცმე 1993: 9], – ასეთია ნიცმეს ფენომენალიზმი. შედეგად, ნიცმე ამაოდ ცდილობდა ისეთი ავტორიტეტის გამოწახვას, რომელიც ჩანაცვლებდა დამხოვილ ღმერთს.

ნიცმეს ფილოსოფიის ძირითადი დებულებები გადმოცემულია მის ერთ–ერთ უმთავრეს ფილოსოფიურ თხზულებაში “ასე ამბობდა ზარატუსტრა,” რომელმაც დიდი გავლენა იქონია შემდგომი თაობების მოაზროვნეებსა და მწერლებზე. თითქმის ყველა მოვალედ რაცხდა თავს, გამოხმაურებოდა იმ კითხვებს, რომლებიც ნიცმემ დასვა პირველად: ღმერთის სიკვდილმა, ძალაუფლების ნების, ტრაგიკული ჰეროიზმის, ზეკაცის კულტმა და ანტიკური სამყაროთი დაინტერესებამ გულგრილი ვერ დატოვა ვერცერთი შემოქმედი. ყველაზე მეტად კი ნიცმეს გავლენა, ცხადია, მოდერნისტ ავტორებზე აისახა.

ნიცმეს ფილოსოფიის დებულებები ერთ–ერთმა ყველაზე ღრმად გერმანული სიმბოლიზმის მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, შტეფან გეორგემ (1868–1933) გაიაზრა. შტეფან გეორგეს ნიცმეს ფილოსოფიაში პირველ რიგში ხიბლავდა ზეკაცის იდეა და შემოქმედებისა და ყოფიერების დიონისურ საწყისებზე დაფუძნება, რასაც ნიცმე ჯერ კიდევ თავის პირველ ნაშრომში “ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“ ქადაგებდა. მის პოეზიაში ასევე მნიშვნელოვანია ნიცმესეული ღმერთის სიკვდილის გააზრება და გადააზრება. სწორედ ამ პრობლემატიკას ეძღვნება შტ. გეორგეს ერთ–ერთი ლირიკული კრებული “ალგაბალი”(1892). ამ მითიური რომაელი იმპერატორის პერსონაჟში თავს იყრის გეორგესეული ზეკაცის ვიზიონები. “ალგაბალში” შესულ ლექსებში ძირითადი თემაა სამყაროს რაობა, მშვენიერების კულტი, ღვთის მისტიკურ–პოეტური განცდა, ზეკაცის იდეა.

აღნიშნული კრებული ღმერთის სიკვდილის, ანტიკური საბერძნეთის კულტურის გაიდეალების, გმირობის (ნიცმეს მიხედვით “ლომობის”), მიწიერი ცხოვრების მშვენიერების თემატიკას ეძღვნება. სამყარო ამოუცნობია და იდუმალი, საოცრად ლამაზი:

Die ströme die in den höheren stollen
Wie scharlach granat und rubinen spruhten
Verfarben sich blasser im niederrollen
Und fließen von nun ab wie rosenbluten.

(მდინარეები, რომელთა ფართო მოსასხამიდან მოწები და ლალები იფრქვევა, ფერს იცვლიან და მიედინებიან, როგორც ვარდების სისხლი) [გეორგე 2000: 45].

გეორგეს პოეზიაში ხელოვანი/პოეტი ფუძნდება, როგორც მშვენიერების კულტის მსახური. ამიტომაც, იგი ერთმანეთში ჰარმონიულად უნდა ათავსებდეს დიონისურ და აპოლონურ საწყისებს. ძველი ბერძნული მითოლოგიის ლხენის ღმერთი ყველაფერ ამქვეყნიურის, ლხენის, ექსტაზის, ღვთაებრივი შემლილობის საწყისია. დიონისური ადამიანი მოქმედებს თავისი ინსტიქტებით და არა გონებით. შტ. გეორგე დიონისურობის ესთეტიზმს ახდენს და მასთან დიონისური ქაოსი, ინსტიქტების თავისუფლება სიმბოლურად შემოქმედებითი გენიის მაქსიმალურ გამოვლენაზე მიაწინებს. შემოქმედებითი გენიის

თავისუფლება კი ზოგჯერ სიგიჟის ზღვარს სცდება, მაგრამ რომ არა ეს სიგიჟე გენიისა, ვერ შეიქმნებოდა შედეგები.

როგორც გონის ისტორიიდანაა ცნობილი, ანტიკური საბერძნეთის კულტურას და მის იდეალებს დაუპირისპირდა ქრისტიანობა, რომელმაც ახალი ზნეობრივი კოდექსები შემოიტანა. თუ ანტიკური სამყარო სხეულის ყოველგვარ მოთხოვნილებას თავისუფლებას ანიჭებდა, ქრისტიანული მორალი ერთგვარ ჩარჩოებში აქცევდა ყველაფერს: სული “იყო გამხდარი, საზიზღარი და დამშეული; სიმკაცრე იყო მისი ვნება [ნიცმე 1993: 17]. შტ. გეორგეც, იზიარებს რა ნიცმესეულ კონცეფციებს, და აქედან გამომდინარე, იზიარებს რა ანტიკური კულტურის თავისუფალ მორალს, აცხადებს, რომ ცოდვები, რომლითაც გვაშინებენ და მათი თავის არიდებისაკენ მოგვიწოდებენ, არ არსებობს.

მამასადამე, არ არსებობს ცოდვა, რადგან გაურკვეველია არსებობს თუ არა ღმერთი და თუ არსებობს, სად არის იგი: “Schlafft er oder starb er schon?” („ძინავს მას, თუ უკვე გარდაიცვალა?“) [გეორგე 2000: 55].

ნიცმეც ამბობს, რომ “არაა ეშმაკი და არც ჯოჯოხეთი. შენი სული უფრო ადრე მოკვდება ვიდრე შენი სხეული, აღარაფრის გეშინოდეს.” (ნიცმე 1993: გვ:21) მიწის შვილებმა უნდა იმოქმედონ ისე, როგორც საკუთარი სასიცოცხლო ნება, ანუ ძალაუფლების ნება უკარნახებთ – მათ უნდა ილხინონ: “Ihrem jugendlichen Gotte jubelten die erdensöhne” (“თვის ჭაბუკ ღმერთთან ერთად მხიარულობენ მიწის შვილები“) [გეორგე 2000: 56].

ღმერთი აიძულებს ადამიანებს ერთფეროვანი ლოცვების გამეორებას. მშვიდობა იქადაგა ქრისტემ, მაგრამ პოეტის აზრით “ძილმორეულია ეს მშვიდობა.” ღმერთი არ მომკვდარა, იგი უზრალოდ განუდგა ადამიანებს და ამის მიზეზი თავად ადამიანშია, რადგან მან უარყო ღმერთი და დაივიწყა იგი:

Euer gebieter ist von euch geschieden

Ehe die stadt sich murren vermisst

(თქვენი მბრძანებელი თქვენგან განმდგარია, ვეღარ პოულობს წინარე ქალაქს) [გეორგე 2000: 53].

გეორგეს მიხედვით შემოქმედის დანიშნულებაა დაეხმაროს ადამიანს ტრანსცენდენტურთან მიახლოებაში, უშუამდგომლოს ღმერთთან. რა კავშირშია ნიცმეს ზეკაცის და გეორგესეული შემოქმედის კულტი ერთმანეთთან? შტ. გეორგე ზეკაცის იდეის თავისებურ გადააზრებას ახდენს. ნიცმეს მიხედვით, ხელოვნება, ადამიანი და კულტურა მაშინ არის სრულყოფილი, როცა მათში ორგანულად არის შერწყმული დიონისური და აპოლონური საწყისები. ფილოსოფოსის მიხედვით თანამედროვე ადამიანი დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს. სწორედ ამით აიხსნება “ტრაგედიის დაბადების” ავტორის მკვეთრად უარყოფითი პოზიცია თანადროული კულტურისა და ეპოქის მიმართ. თეზისი “ღმერთი მკვდარია” გამოხატავს იმ სიღრმისეულ პროცესს, რომელიც კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში ხდება. ღმერთის სიკვდილი ნიშნავს, რომ ტრადიციულმა ქრისტიანულმა ღირებულებებმა, რომელიც ორიენტირებს ანიჭებდა ადამიანებს, დაკარგა თავისი ღვთიური ძალა; ადამიანი რჩება თავისი თავის ანაზარა. საჭიროა ღმერთი ჩანაცვლდეს ახალი ძალით. სწორედ აქ აფუძნებს ნიცმე ზეკაცის იდეას, რომელმაც უნდა დაიკავოს ღმერთის ადგილი, გახდეს ძალაუფლების სიმბოლო. ზეკაცი არის ახალი „ბიოლოგიური“ სახე, ის უმაღლესი ადამიანია, სრულყოფილი არსება, ამქვეყნიურია, ერთგულია მიწისა, ანუ სიცოცხლისა. იგი იმორალისტია, მისკენ მიმავალი გზა რთულია: ის მოითხოვს უდიდეს მსხვერპლს, უზომო სიძულვილს ყველა ძველი ღირებულებისა და ტრადიციულად გაგებული ბედნიერებისა, სიკეთე-ბოროტებისა, გონებისა. ნიცმესეული ზეკაცი, ანუ სრულყოფილი ადამიანი არის ძალაუფლების, მიწიერი საწყისების, გენიის მატარებელი. ღმერთის სიკვდილის აღიარება იმის მტკიცებასაც ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი არის ადამიანი, იგია ყველაფრის ფასმდებელი: “ჭეშმარიტად ძმანო, ადამიანთ თვით შექმნეს თვისი ყოველი სიქველე და ბოროტება. ჭეშმარიტად იგი არავისგან აუღიათ, არ უპოვნიათ, არ ჩამოვარდნილა იგი, ვით ხმა ზეცისა” [ნიცმე 1993: 49].

შტ. გეორგე ზეკაცის იდეის თავისებურ გადააზრებას ახდენს. იგი მიიჩნევს, რომ თავად ღმერთია ადამიანთაგან განმდგარი. გეორგე, ისწრაფვის რა ყოველივე ტრანსცენდენტურისადმი, შესაბამისად, ვერ უარყოფს ტრანსცენდენტური დიადი ძალის არსებობასაც. ამიტომაც, გეორგე პოეზიის და ხელოვნების უმთავრეს მისიად ღმერთის წვდომას მიიჩნევს. ნიცმესეული ზეკაცი იმორალისტი, განმდგარი ყოველგვარი ღირებულებებისაგან შტ. გეორგესთან გადააზრებულია როგორც შემოქმედი:

Mein garten bedarf nicht luft und nicht wärme.

Der garten den ich mir selber erbaut

Und seiner vogel leblose schwärme
Haben noch nie einen frühling geschaut

(ჩემს ბაღებს არ სჭირდებათ ჰაერი და სითბო. ბაღები მე თვითონ გავაშენე და მისი ჩიტების უსიცოცხლო გუნდს ჯერაც არ უგრძნია გაზაფხული) [გეორგე 2000: 47].

ამგვარად, “ალგაბალში” თავს იყრის გეორგესული ზეკაცის ვიზიონები. გეორგესთან ზეკაცი გაიგივებულია ახალი ტიპის ხელოვანთან, პოეტ–ქურუმთან, რომელიც ესწრაფვის ყოფიერების ახალი პერსპექტივების გახსნასა და ახალი ტრანსცენდენტური სივრცეების „გაშლას“ პოეტური ვიზიონებით. ახალი ტიპის ხელოვანი დგას პოზიტიურად გაგებული სიკეთისა და ბოროტების მიღმა, მისი შემოქმედებითი დისკურსი მიმართულია მშვენიერების კულტის მსახურებისადმი. ასეთი ხელოვანი-ზეკაცი კი თავისი პოეზიით/ხელოვნებით უარყოფს წარმავალ ყოფას საკუთარი უკიდურესი ესთეტიზმის და ტრანსცენდენტური პოეტური ვიზიონების საფუძველზე. აქ კი გეორგე ქმნის ახალ ღირებულებებს და თავისი სიმბოლისტური ლირიკით ცდილობს ღმერთის სიკვდილის იდეის ინდივიდუალისტურ დაძლევას და ღმერთის იდეის კვლავ გაცოცხლებას.

დამოწმებანი:

1. **გეორგე 2000:** Stefan George, Werke. Bd. 1, DTV, Stuttgart, 2000.
2. **ნიცშე 1993:** ფრიდრიხ ნიცშე, *ასე ამბობდა ზარატუსტრა*, ერ. ტატიშვილის თარგმანი გერმანულიდან, თ. ბუაჩიძის რედაქციით, თბ., 1993.